



პრეს რელიზი
დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და ჭიათურის საბაგირო გზების
ქსელი ევროპული მემკვიდრეობის განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი
12 ძეგლს შორის მოხვდა.

ჰააგა/ლუქსემბურგი, 2018 წლის 16 იანვარი - კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელიწადის გახსნაზე სფეროს წამყვანი ევროპული ორგანიზაცია - **ევროპა ნოსტრა** და **ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტი** აქვეყნებენ **2018 წლის განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის** პროგრამის **თორმეტ ფინალისტს**, რომლებიც სხვადასხვა სფეროს ექსპერტების სპეციალური ჯგუფის მიერ იქნა გამოვლენილი.

10 ევროპული ქვეყნიდან შეირჩა საფრთხის ქვეშ მყოფი მემკვიდრეობის შემდეგი ძეგლები: ჯიროკასტერის ისტორიული ცენტრი, **ალბანეთი**; პოსტ-ბიზანტიური პერიოდის ტაძარი ვოსკოპოია და ვითკუქში, **ალბანეთი**; ვენის ისტორიული ცენტრი, **ავსტრია**; ქვანახშირის მომპოვებელი ქარხანა ბერინგენში, **ბელგია**; ბუზლუფას მონუმენტი, **ბულგარეთი**; დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, **საქართველო** (ნომინირებულია ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ); ჭიათურის საბაგირო გზების ქსელი, **საქართველო**; სამეხანოს ციხე, ტოსკანა, **იტალია**; კონსტანტას კაზინო, **რუმინეთი**; პრეისტორიული კლდის ხელოვნების ძეგლები, კადიზის პროვინცია, **ესპანეთი**; პრინკიპოს ბერძნული ბაგვშთა სახლი, პრინციების კუნძულები, **თურქეთი**; გრიმსბის ყინულის ქარხანა, **გაერთიანებული სამეფო**. აღნიშნული ძეგლებიდან ზოგიერთი საფრთხის წინაშე დგას უწყურადღებობის ან არასწორი განვითარების, ზოგი კი - რესურსების ან ექსპერტიზის ნაკლებობის გამო. **ევროპის განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი მემკვიდრეობის 7 ძეგლის საბოლოო სია 15 მარტს გამოვლინდება.**

თორმეტივე ძეგლი და ღირსშანიშნავი ადგილი შეირჩა მათი გამორჩეული კულტურული ღირებულების და მათ წინაშე მდგარი გარდაუვალი საფრთხის საფუძველზე. მნიშვნელოვან კრიტერიუმად იყო მიჩნეული მათ გადარჩენაში ადგილობრივი თემების, საჯარო და კერძო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. შერჩევის კიდევ ერთი კრიტერიუმი გახლდათ აღნიშნული ძეგლების პოტენციალი - იქცნენ მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კატალიზატორად.

“2018 წელი ევროპული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის, ჩვენს საერთო იდენტობის ჩამოყალიბებაში და ინკლუზიური ევროპის მშენებლობაში მისი მთავარი როლის ხაზგასმის წელიწადია. ამასთანავე, კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელიწადის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფართომასშტაბიანი ძალისხმევის მობილიზება ევროპის ფარგლებში საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების გადასარჩენად. „ეს უკეთეს შესაძლებლობას აძლევს ევროპა ნოსტრასა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტს, შემოქმედებითი ევროპის პროგრამის მხარდაჭერით განახორციელონ განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის ახალი 2018 წლის კამპანია“, განაცხადა **დენის დე კერგორლიმ**, ევროპა ნოსტრას აღმასრულებელმა დირექტორმა. „ფინალისტთა ეს სია, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს მოწოდებას ქმედებისკენ. ჩვენ მივმართავთ საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეებს ადგილობრივ, ეროვნულ და ევროპულ დონეებზე, რათა გააერთიანონ ძალისხმევა კულტურული მემკვიდრეობის ამ მარგალიტების გადასარჩენად, რომლებიც ჩვენს საერთო ისტორიას მოგვითხრობენ და აუცილებლად უნდა შევუნარჩუნოთ მომავალ თაობებს“ დასძინა მან.

“ამ თორმეტი ღირსშანიშნავი ადგილის გადარჩენა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის. ჩადებული ინვესტიცია ასევე წარმოქმნის სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე“, თქვა **ფრანცისკო დე პაულა კოელიომ**, ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტის დეკანმა. „კარგად მომზადებული და კარგად განხორციელებული ინვესტიცია კულტურულ მემკვიდრეობაში, იძლევა მნიშვნელოვან უკუგებას სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით; მნიშვნელოვანია ამ გზავნილის გავრცელება კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელიწადი 2018-ის ფარგლებში“- დაამატა მან.

ანსკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლი პროგრამისთვის 2018 წელს ნომინაციები წარადგინეს სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და საჯარო დაწესებულებებმა, რომლებიც შეადგენენ ევროპა ნოსტრას წევრი და ასოცირებული ორგანიზაციების ფართო ქსელს მთელი ევროპიდან. 12 ძეგლის წინასწარი სია შედგა ისტორიის, არქეოლოგიის, არქიტექტურის, კონსერვაციის, პროექტების ანალიზსა და ფინანსების ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ევროპაში განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საბოლოო სია გამოვლინდება ევროპა ნოსტრას საბჭოს მიერ.

განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამა დაფუძნდა 2013 წლის იანვარში ევროპა ნოსტრას მიერ, ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტთან, როგორც დამფუძნებელ პარტნიორთან და ევროპის განვითარების ბანკთან, როგორც ასოცირებულ პარტნიორთან ერთად. ამ პროგრამის წამოწყება შთაგონებული იყო აშშ-ს ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ტრასტის (US National Trust for Historic Preservation) მსგავსი წარმატებული პროექტით. „განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლი“ არ არის დაფინანსების პროგრამა. იგი მიზნად ისახავს დააჩქაროს ქმედებები და წარმოაჩინოს „მაგალითის ძალა“. მას, როგორც ევროპა ნოსტრას ქსელური პროექტის „ზიარი მემკვიდრეობა - ზიარი ღირებულებები“ ნაწილს, მხარს უჭერს ევროკავშირის შემოქმედებითი ევროპის პროგრამა.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, საქართველო

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ძეგლია. იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ივრის ზეგანზე, ნახევარუდაბნოში და შედგება 22 კლდეში ნაკვეთი მონასტრისა და 5 000 ზე მეტი სენაკისაგან. სამონასტრო კომპლექსის ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. მას მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი, 2007 წელს კომპლექსი შეყვანილია მსოფლიო მემკვიდრეობის ეროვნულ წინასწარ ნუსხაში.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი დაარსდა VI საუკუნის I ნახევარში ასურელი მამების, დავით გარეჯელისა და მისი მოწაფეების მიერ. შემდგომი საუკუნეების განმავლობაში კომპლექსი ვითარდებოდა, შენდებოდა ახალი მონასტრები. კლდეში ნაკვეთი სამლოცველოების პარალელურად, აღსანიშნავია ერთნავიანი სამლოცველოები და გუმბათოვანი ეკლესიები, როგორცაა მაგალითად, ლავრა, უდაბნოს მონასტრები და სხვა. უნიკალური არქიტექტურის გარდა, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელობას განსაზღვრავს გამორჩეული კედლის მხატვრობა, რომლის ქრონოლოგიური დიაპაზონი ვრცელდება VIII-დან XVIII საუკუნის ჩათვლით. გარეჯის სამონასტრო კომპლექსი IX-X საუკუნეებში მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, სადაც ინდივიდუალური ფერწერული სკოლა ჩამოყალიბდა. გარეჯი ასევე ქრისტიანი პილიგრიმების სამყოფელი იყო, რასაც მონასტრების გამოქვაბულთა კედლებზე ბერძნული, სომხური, სპარსული და არაბული პილიგრიმული მინაწერები ადასტურებს.

კომპლექსში შემავალი მრავალრიცხოვანი გამოქვაბული, შუა საუკუნეების უნიკალური კედლის მხატვრობა, ბერების საცხოვრებელი სენაკები, კლდეში ნაკვეთი წყლის არხები, ტერიტორიაზე არსებული ადრეული ბრინჯაოს ეპოქის დასახლებები ერთიანობაში ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული ურთიერთქმედების და კულტურული ლანდშაფტის უნიკალურ მაგალითს წარმოადგენენ. კლდეში ნაკვეთი არქიტექტურა, შუასაუკუნეების ფრესკები, პრეისტორიული არქეოლოგია, პალეონტოლოგიური ზონები და უნიკალური ბიო-გეოგრაფიული მახასიებლები ერთიან ანსაზღვს ქმნიან და ქართული კულტურის შედევრს წარმოადგენენ.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი დღეისათვის შეუქცევადი დაზიანებების საფრთხის წინაშე დგას, რომლის მთავარ მიზეზს ქანების დაშლის პროცესი წარმოადგენს. ქვიშაქვაში გამოკვეთილი კომპლექსი ინტენსიურ ეროზიას განიცდის, რაც ეკლესიებისა და სხვა ნაგებობების სტრუქტურულ დაზიანებებში ვლინდება. საუკუნეების მანძილზე სამონასტრო კომპლექსი ადამიანის მხრიდანაც მნიშვნელოვნად დაზარალდა - თავდაპირველად XIII საუკუნეში მონღოლების შემოსევის დროს, ხოლო უახლოეს წარსულში - 1980-იან წლებში. დავით გარეჯის მიმდებარე ტერიტორია საბჭოთა არმიის საწვრთნელ პოლიგონად იყო ქცეული და აფეთქებებით გამოწვეული ვიზრაცია ხელს უწყობდა კომპლექსში შემავალი ძეგლების სტრუქტურულ რღვევას, რაც თავის მხრივ კედლის მხატვრობის შეუქცევადი დაზიანების მიზეზიც ხდებოდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსის ნაწილი მდებარეობს მეზობელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რაც კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

დღესდღეობით დავით გარეჯის მოქმედი მონასტერია და საქართველოს საპატრიარქოს კუთვნილებაშია. მონასტერში ყოველდღიურად ტარდება წირვა, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობასა და დაცვის საჭიროებას.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ძეგლის ნომინატორის თანახმად, გენერალური გეგმის ან ძეგლის შენარჩუნების (კონსერვაციის) სტრატეგიის არარსებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა და ის აფერხებს ძეგლის სწორად მართვას. ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა არსებობს, თუმცა აუცილებელია შევინარჩუნოთ მისი მდგრადობა. ამ ეტაპზე ტურისტული ინფრასტრუქტურა, როგორცაა ნიშნულები, მოაჯირები და ა.შ. ნაკლებად გამართულია. შედეგად, დამთვალიერებლებს აქვთ შეუზღუდავი წვდომა არქიტექტურულ ძეგლებსა და კედლის მხატვრობაზე, რაც ძეგლისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.

ჭიათურის საპატრიარქოს საბაგრო გზების ქსელი, საქართველო

სამთო-მოპოვების ქალაქი ჭიათურა, მისი უნიკალური კონცეფციითა და განხორციელებით, ინდუსტრიალიზაციის მსოფლიო ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ქალაქის დაარსებას საფუძველი დაუდო გერმანელი გეოლოგის ვილჰელმ ფონ აბიხის მიერ ჭიათურის მიდამოებში მე-19 საუკუნეში მანგანუმის მადნის აღმოჩენამ. დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ფოლადის წარმოების განვითარებამ ჭიათურის მანგანუმზე მაღალ მოთხოვნასა და ექსპორტის ზრდას შეუწყო ხელი. შედეგად, 1913 წლისათვის ჭიათურის მანგანუმი მსოფლიო მიწოდების 50% შეადგენდა.

ჭიათურაში სამთო-მოპოვების ინდუსტრიის ბუმმა განაპირობა სამრეწველო და სამგზავრო საპატრიარქოს საბაგრო გზების ქსელის შექმნა. ბაგროგზების ქართული საინჟინრო სკოლის განვითარება ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ევროპულ ტენდენციებს, რამაც, გამოცდილების ინტენსიური გაზიარებით, ჭიათურა საბაგრო გზების მშენებლობის რეგიონულ სამეცნიერო კერად აქცია.

ჭიათურის საპატრიარქოს საბაგრო გზების სისტემა 18 სამგზავრო და 27 სატვირთო საბაგრო გზას მოიცავს. სადგურები მდინარის ხეობაშია მიმოფანტული და მას პლატოზე განლაგებულ უბნებთან აკავშირებს. სისტემა გამორჩეულია არქიტექტურული სტილებისა და საინჟინრო გადაწყვეტების მრავალფეროვნებით - აქ შეხვდებით, როგორც მცირე ფარდულებს, ასევე არქიტექტურის დახვეწილ ნიმუშებს, რომლებიც ქალაქის ურბანულ ორიენტაციას ქმნიან. საბაგროების აბსოლუტური უმრავლესობა თავდაპირველი ტექნოლოგიური და არქიტექტურული კომპონენტებითაა შენარჩუნებული. საბაგრო სადგურები აგებულია სოციალისტური-რეალიზმის, მოდერნისტულ და ბრუტალისტურ სტილში. ჭიათურის ერთ-ერთ უძველეს სადგურს - „ქალაქი-პერევისა“ და სხვა მნიშვნელოვან ნაგებობებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოვლა-პატრონობის ნაკლებობის გამო, სამგზავრო საბაგროების დიდი ნაწილი დაზიანდა და, საბოლოოდ, დაიხურა. სამთო-მოპოვების ინდუსტრიის დაკნინების და ცუდი ფიზიკური მდგომარეობის გამო, დღეისათვის სატვირთო საბაგროების მხოლოდ მცირე ნაწილია ფუნქციონირებს. საბაგროები ეკუთვნის და იმართება კერძო სამთო-მოპოვებელი -კომპანიის შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ.

უსაფრთხოების რისკების შესახებ გაფრთხილების გამო, თვითმმართველობის მიერ მართული ოთხი საბაგრო ხაზის მუშაობა შეჩერებულ იქნა. ამჟამად მიმდინარეობს მათი თანამედროვე საბაგროებით ჩანაცვლების სამუშაოები. შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ შედარებით მცირემასშტაბიან შეკეთებით და მოვლის სამუშაოებს ახორციელებს. სადგურებისა და ტექნოლოგიური კომპონენტების მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო საბაგროების დახურვა და მიტოვება ტიპური მიდგომაა. მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე მათი შეცვლა ნაკლებად ხდება.

ინდუსტრიული მემკვიდრეობის ამ მნიშვნელოვან ძეგლს ადგილობრივი და ეროვნული ინსტიტუციები უჭერენ მხარს, მათ შორის ნომინაციის წარმდგენელი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ ჭიათურაში არაერთი კვლევა განხორციელდა მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ურბანული განვითარების მიმართულებით, ერთობლივი პროგრამის „თემების მიერ მართული ურბანული სტრატეგიები“ (COMUS, 2015-2017), ისევე როგორც კიევის ინიციატივის რეგიონალური პროგრამის (2009-2011) ფარგლებში. აღნიშნული ასევე მოიცავდა ჭიათურის ერთ-ერთი უძველესი საბაგრო გზის - „ქალაქი-პერევისას“ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას. თუმცა, დაფინანსების ნაკლებობა ისევ პრობლემად რჩება, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის ჭიათურის საბაგრო გზების ქსელის მომავალს.

[იხილეთ ევროპა ნოსტრას ვებგვერდი](#)

პრესისთვის საკონტაქტო ინფორმაცია

ევროპა ნოსტრა

ჯოანა პინერიო jp@europanostra.org

ტელ: +31 70 302 40 55; M. +31 6 34 36 59 85

ევროპული ინვესტიციების საბანკო ინსტიტუტი

ბრუნო როსინოლი, bruno.rossignol@eib.org

ტელ: +352 43 797 07 67; M. +352 62 134 58 62

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

მაკა დვალიშვილი maka@gaccgeorgia.org

ტელ: +995 599506448

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ

www.europanostra.org

<http://7mostendangered.eu/2018-shortlist>

მაღალი ხარისხის ფოტოები

www.gaccgeorgia.org

წინაპირობა

ევროპა ნოსტრა წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პანევროპულ ფედერაციას, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც კერძო კომპანიები, ასევე საჯარო დაწესებულებები და ინდივიდები. ორგანიზაცია აერთიანებს ევროპის 40 ქვეყანას და მიზნად ისახავს ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას. ევროპა ნოსტრა დაარსდა 1963 წელს და დღეისთვის იგი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული ქსელია. ორგანიზაციის პრეზიდენტია მსოფლიოში ცნობილი ოპერის მომღერალი და დირიჟორი პლასიდო დომინგო.

ევროპა ნოსტრა პროგრამის „საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლი“ ფარგლებში ახორციელებს ევროპაში განადგურების პირას მყოფი ძეგლების და ლანდშაფტების გადარჩენის კამპანიას. იგი წარმოაჩენს სფეროს მიღწევებს ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის / ევროპა ნოსტრას ჯილდოს მეშვეობით. ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ ინსტიტუტებთან და ევროპული მემკვიდრეობის ალიანსთან 3.3, რითაც თავისი წვლილი შეაქვს მემკვიდრეობის სფეროში ევროპული სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ევროპა ნოსტრა აწარმოებს [European Year of Cultural Heritage 2018](#) საზოგადოებრივი გათვითცნობიერების აქტიურ კამპანიას.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტი (EIBI) დაარსდა EIB ჯგუფის (ევროპის საინვესტიციო ბანკის და ევროპული საინვესტიციო ფონდი) ფარგლებში, ევროპული სტეიქჰოლდერებისა და ფართო საზოგადოებისთვის სოციალური, კულტურული და აკადემიური ინიციატივების მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის. ეს არის მთავარი საყრდენი EIB ჯგუფის საზოგადოებრივი და სამოქალაქო ჩართულობისთვის. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://institute.eib.org>

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB) არის „ევროპის სოციალური ბანკი“. 41 წევრი სახელმწიფოსგან შემდგერი მრავალმხრივი განვითარების ბანკი, ევროპის სოლიდარობის პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ევროპული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მისი ერთ-ერთი მანდატია.

შემოქმედებითი ევროპა წარმოადგენს ევროკავშირის ახალ პროგრამას, რომელიც მიმართულია კულტურის და შემოქმედებითი სექტორების გაძლიერებისკენ. პროგრამის 2014-2020 წლების ბიუჯეტს €1.46 მილიარდი შეადგენს. შემოქმედებითი ევროპა მხარს უჭერს ორგანიზაციებს რომლებიც მოღვაწეობენ კულტურული მემკვიდრეობის, საშემსრულებლო ხელოვნების, სახვითი ხელოვნების, ინდერდისციპლინარული ხელოვნების, საგამომცემლო, კინოინდუსტრიის, ტელევიზიის, მუსიკის და ვიდეო თამაშების სფეროში, ასევე ათობით ათას მხატვარს, კულტურის და აუდიოვიზუალური ხელოვნების პროფესიონალს. დაფინანსება მათ შესაძლებლობას აძლევს განავრცონ თავიანთი მოღვაწეობა მტელი ევროპის მასშტაბით, მოიზიდონ ახალი აუდიენცია და განავითარონ თავიანთი უნარები.